

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2012 წლის 25 ივნისის #23-12 ოქმით  
ცვლილება №1 დამტკიცებული 2012 წლის 24 ივნისის აკადემიური საბჭოს № 30-12 ოქმით  
ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13  
ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 2 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14

---

პროფესიულ სწავლების დებულება

თავი I. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა .....	3
1. ჩარიცხვის წინაპირობები .....	3
2. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მობილობა) .....	3
3. ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები .....	4
4. პროფესიული სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი .....	4
5. პროფესიული სტუდენტის პირადი მონაცემები .....	4
6. ინფორმაციის მართვა .....	4
თავი II. ადმინისტრაციული რეგისტრაცია.....	4
7. ადმინისტრაციული რეგისტრაცია.....	4
თავი III. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა.....	5
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება .....	5
9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა.....	5
10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა .....	6
თავი IV. სასწავლო პროცესი .....	6
11. სწავლების ენა.....	6
12. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა .....	6
13. პროფესიული სტუდენტის დატვირთვის კრედიტებით გაანგარიშება .....	6
14. პროფესიული პროგრამის კომპონენტი.....	7
თავი V. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა .....	7
თავი VI. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.....	8
თავი VII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება .....	8
15. შეფასების სახეები .....	8
16. გამოცდის ადმინისტრირება .....	9
17. გამოცდაზე დაშვების პირობები.....	9
18. გამოცდაზე ქცევის წესები.....	9
19. გამოცდის აღდგენა.....	10
20. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება .....	10
21. გამოცდის შეფასების გასაჩივრება.....	10
22. შეფასების სისტემა .....	10
23. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.....	11
24. შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.....	12

# თავი I. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

## 1. ჩარიცხვის წინაპირობები

1. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა I-III საფეხურის პროფესიულ პროგრამებზე ხორციელდება მათზე კანონმდებლობით და პროფესიული სტანდარტით დადგენილი დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის, ხოლო IV-V საფეხურზე დამატებით ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე. დაშვების დამატებითი წინაპირობები ასევე შესაძლებელია დადგინდეს შესაბამისი პროგრამით. (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 2 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14)

2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასავლელად პროფესიული სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე შეავსოს ელექტრონული განაცხადი და წარმოადგინოს:

- პირადი განცხადება (ნიმუში),
  - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,
  - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი,
  - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი,
  - ფოტოსურათი (3X4),
  - სწავლების საფასურის იმ ოდენობის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღემატება მოპოვებულ სახელმწიფო დაფინანსებას,
- დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები. (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 2 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14)

3. IV-V საფეხურზე პროფესიულმა სტუდენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენაც.

5. სარეგისტრაციო დოკუმენტები ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში. განცხადების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაითხოვოს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამადასტურებელი დოკუმენტი განსაზღვრული ვადით, რისი გადამეტება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია.

## 2. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (მობილობა)

1. დასაშვებია გადაყვანის წესით ჩარიცხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამაზე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან პროფესიული პროგრამიდან.

2. მობილობა ხორციელდება ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.

3. დამატებითი პირობები დგინდება დირექტორის ბრძანებით. (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 2 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14)

4. მობილობით ჩარიცხვის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს:

ა) პროფესიული სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიმუშის ფურცელი);

ბ) ამონაწერის პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანებიდან;

გ) ცნობა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან.

5. შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამაზე გადასვლისას პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე მისი უნივერსიტეტში ჩარიცხვის პერიოდისათვის დადგენილი გადასახადით.

6. მიღებული განათლების აღიარებას ახორციელებს კრედიტების აღიარების კომისია. იგი მისი კომპეტენციის ფარგლებში ადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას

შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს ჩაბარებული კომპონენტების სილაბუსები ან/და გამოცდის ჩაბარება.

### 3. ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები

1. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობის ვადით.

2. სწავლის საფასურის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ გარემოებათა არსებითი ცვლილებების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. გადახდილი სწავლის საფასური პროფესიულ სტუდენტს უკან არ უბრუნდება.

4. სწავლის საფასურს აკლდება პრიორიტეტული პროფესიულ პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსების შესაბამისი ოდენობა.

### 4. პროფესიული სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი

1. პროფესიულ სტუდენტს გადაეცემა საიდენტიფიკაციო ბარათი უნიკალური ნომრით, რომელიც პროფესიული სტუდენტის საშვია უნივერსიტეტში და მის ელექტრონულ სამომხმარებლო არეში („ჩემი UG“). „ჩემი UG“ იძლევა სასწავლო პროცესთან (საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, გაცდენები და სხვა) ან სტუდენტურ ცხოვრებასთან (სტუდენტური კლუბები, ღონისძიებები და სხვა) დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. დაუშვებელია სხვა პროფესიული სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათით ან უნიკალური ნომრით სარგებლობა.

2. საიდენტიფიკაციო ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს განცხადებით. საიდენტიფიკაციო ბარათის აღდგენის ღირებულება დგინდება დირექტორის აქტით. (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 2 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14)

### 5. პროფესიული სტუდენტის პირადი მონაცემები

1. პირადი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის განცხადების და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მონაცემებს ცვლის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

2. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია საკონტაქტო მონაცემების (მისამართის, ტელეფონის ნომრის) შეცვლის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში დააფიქსიროს ცვლილება „ჩემი UG“-ის მეშვეობით.

3. მონაცემების წარმოუდგენლობის გამო დამდგარ შედეგზე უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას.

4. პროფესიული სტუდენტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირებზე გაცემა დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

### 6. ინფორმაციის მართვა

1. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ხდება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დროულად გაეცნოს ადმინისტრაციის შეტყობინებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგზე.

2. პროფესიული სტუდენტის ყველა განცხადება მიიღება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. ინფორმაცია განცხადების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის.

3. პროფესიული სტუდენტი უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს უკავშირდება შეტყობინების სისტემის საშუალებით.

## თავი II. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

### 7. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. პროფესიული სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს დირექტორის აქტით განსაზღვრულ სარეგისტრაციო ვადებში სწავლის საფასურის სრულად გადახდას. (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 2 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14)

## თავი III. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა

(ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13)

### 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- ა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა;
  - ბ) აკადემიური შვებულება;
  - გ) ამ დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა.
2. აკადემიური შვებულების გაფორმების საფუძველია:
- ა) ავადმყოფობა, რომელიც ხანგრძლივი დროით იწვევს პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესისგან ჩამოშორებას, დადასტურებული უნივერსიტეტის ექიმის მიერ;
  - ბ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
  - გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, როცა განაჩენის აღსრულება უნდა მოხდეს ისეთი ფორმით, რომელიც შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელებას;
  - დ) საზოგადოებრივი საქმიანობის, სპორტის თუ ხელოვნების სფეროში მოღვაწე სტუდენტების საქართველოს, რეგიონული თუ საერთაშორისო ტურნირებში, საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში მონაწილეობის მიღების მიზნით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მომზადება, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღებას;
  - ე) მეურვედ ან მზრუნველად დანიშვნა;
  - ვ) ორსულობა, მშობიარობა და ახალშობილის მოვლა;

3. სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, პროფესიული სტუდენტი უნივერსიტეტის დირექტორს წარუდგენს წერილობით განცხადებას. (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 2 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14)

6. სწავლის საფასურის გამოყენება პროფესიულ სტუდენტს შეეძლება საქართველოს უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.

7. სემესტრის მიმდინარეობისას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უუქმდება შუალედური შეფასებები.

8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და პროფესიული სტუდენტი თავისუფლდებიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.

### 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დაუშვებელია შესაბამისი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის განხორციელების დაწყების შემდეგ.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა:

- ა) პროფესიული სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ სტატუსის შეჩერების საფუძველი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იყო;
- ბ) აკადემიური შვებულების გაფორმების მიზეზის აღმოფხვრა, თუ პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა აკადემიური შვებულების გაფორმების გამო.

3. პროფესიული სწავლების პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვიდან შესაბამისი პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, პროფესიულ

სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობები წარმართება მათ შორის პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობის ვადის გასვლის შემდეგ სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას პროფესიულ სტუდენტთან გააფორმოს ახალი ხელშეკრულება აღდგენის პერიოდისთვის დადგენილი პროფესიული პროგრამის საფასურის გათვალისწინებით.

4. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი არ აღუდგება, თუ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლისა. სხვა პროფესიულ პროგრამაზე აღდგენის შემთხვევაში, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში/პროფესიული პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების კომისიის მიერ სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის საფუძველზე, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კომპონენტების გავლის აუცილებლობა.

## 10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება;
- ბ) შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
- გ) პირადი განცხადება;
- დ) დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება;
- ე) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა.

## თავი IV. სასწავლო პროცესი

პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა პროფესიული პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე განისაზღვრება 3-18 თვემდე.

### 11. სწავლების ენა

სწავლების ენაა ქართული. ცალკეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სწავლება მიმდინარეობს უცხოურ ენაზეც. ძირითადი უცხოური ენა ინგლისურია.

### 12. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

1. სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს 09:00 სთ-დან 18:50 სთ-მდე.

2. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს:

- ა) მარიამობას - 28 აგვისტოს;
- ბ) გიორგობას - 23 ნოემბერს;
- გ) დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს;
- დ) ახალი წლის პერიოდში - 30 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით;
- ე) აღდგომის კვირას - აღდგომის წინა ოთხშაბათიდან მომდევნო კვირის სამშაბათის ჩათვლით;
- ვ) 1-25 აგვისტო.

3. სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფებში განისაზღვრება 25-ით. ჯგუფში 10-ზე ნაკლები პროფესიული სტუდენტის დარეგისტრირების შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას არ გახსნას ჯგუფი.

### 13. პროფესიული სტუდენტის დატვირთვის კრედიტებით გაანგარიშება

1. კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით



გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.

2. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა აისახება კრედიტებში. ერთი კრედიტი 25 ასტრონომიული საათია. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსით და თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს: საკონტაქტო დროს, პროფესიული სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობასა და ცოდნის შეფასების კომპონენტების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას. (ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13)
3. სემესტრის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაზე.
4. სააუდიტორიო დატვირთვის ხანგრძლივობა 50 წუთია, შესვენება – 10 წუთი;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ მეცადინეობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 ასტრონომიულ საათს.

#### 14. პროფესიული პროგრამის კომპონენტი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტი შეიძლება შედგებოდეს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ელემენტებისგან: (ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13)

- ა) ლექცია)
- ბ) ქვიზი
- გ) შუალედური გამოცდა
- დ) დასკვნითი გამოცდა

2. დასაშვებია პრაქტიკის კომპონენტის ინტეგრირება სასწავლო კომპონენტში ან მისი ცალკე შეთავაზება.

### თავი V. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა

1. პროფესიული პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროფესიული პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

2. შემუშავებული პროფესიული პროგრამა განიხილება სკოლის საბჭოს მიერ და გადის საუნივერსიტეტო ექსპერტიზას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრული პროცედურით.

3. აკადემიურ საბჭოზე პროფესიული პროგრამას განსახილველად წარადგენს შესაბამისი სკოლის დირექტორი, დასკვნებს - საუნივერსიტეტო ექსპერტიზის განმახორციელებელი სამსახურების უფროსები.

4. აკადემიური საბჭო ამტკიცებს პროფესიულ პროგრამას თუ დადასტურებულად მიიჩნევს, რომ:

- ა) პროფესიული პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე;
- ბ) პროფესიული პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
- გ) პროფესიული პროგრამის ყველა კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ადეკვატურად აისახება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში;

დ) პროფესიული პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური და მატერიალური რესურსით.

5. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს პროფესიული პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროფესიული პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები); პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.
6. შეთავაზებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, უნდა მომზადდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) და მისი ელექტრონული ვერსია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7. პროფესიული პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში სტუდენტს ეთვლება როგორც მოდიფიცირებამდე, ისე მოდიფიცირების შემდგომ გავლილი კომპონენტი. პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს რომელიმე მიმართულება, ჩარიცხული სტუდენტები აგრძელებენ სწავლას მიღევად რეჟიმში.
8. პროფესიულ პროგრამაში, რომელიც არ ითვალისწინებს კომუნიკაციის უნარის განმავითარებელი კურსების შეთავაზებას (უცხოური ენა, ინფორმაციული ტექნოლოგიები), სხვა კომპონენტებში ინტეგრირების გზით უნდა ახდენდეს ამ უნარის განვითარებას.

## თავი VI. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია

1. პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიულ მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
2. პროფესიული მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

## თავი VII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

### 15. შეფასების სახეები

1. სწავლის უკეთეს შედეგზე გასასვლელად გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა, რომელიც სემესტრის განმავლობაში პროფესიული სტუდენტის ცოდნის ეტაპობრივად შეფასების საშუალებას იძლევა.

2. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს:

- ა) ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი),
- ბ) ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობა,
- გ) შუალედური გამოცდა,
- დ) დასკვნითი გამოცდა.

3. ქვიზის მიზანია, პროფესიულმა სტუდენტმა თანაბრად აითვისოს ლექტორის მიერ ყოველკვირეულად მიწოდებული მასალა და სისტემატიურად იმუშაოს საგანზე. ამ მიზნიდან გამომდინარე, ის სხვადასხვა სახისაა:

- ა) წერითი გამოკითხვა,
- ბ) საშინაო დავალება,

გ) ზეპირი გამოკითხვა და სხვა აქტივობა, რომელიც ცოდნის ყოველკვირეული შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

3. ლექციის გაცდენის შემთხვევაში ყოველკვირეული შეფასება (ქვიზი) აღდგენას არ ექვემდებარება.

4. ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობის ქულა პროფესიულ სტუდენტს შეიძლება მიეცეს ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობისათვის.

6. შუალედური გამოცდის მიზანია პროფესიული სტუდენტის ცოდნის ეტაპობრივი შეფასება.

7. კომპონენტის ათვისების საბოლოო შეფასება ხორციელდება დასკვნითი გამოცდით, რომელიც გულისხმობს კომპონენტში სემესტრის განმავლობაში მიღებული ცოდნისა და უნარების სრულ შეფასებას. გამოცდა არის წერიტი/ელექტრონული, თუმცა კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება შეიცავდეს ზეპირ ან პრაქტიკულ კომპონენტსაც.

8. შუალედური და დასკვნითი გამოცდა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს.

3. 9. პრაქტიკული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები დგინდება შესაბამისი პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარების მეშვეობით.

## 16. გამოცდის ადმინისტრირება

1. გამოცდის ადმინისტრირებას ახორციელებს პროფესიული სწავლების მენეჯერი.

2. გამოცდების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გამოცდის თარიღი, დრო, აუდიტორია და მისთვის განკუთვნილი ადგილი.

4. შუალედურ გამოცდას ეთმობა მინიმუმ ორი ასტრონომიული საათი, ხოლო დასკვნითს - სამი.

5. პროფესიული სტუდენტის მიერ დამხმარე მასალის (მაგ.: სახელმძღვანელო, კოდექსი) გამოყენების შესაძლებლობა აღინიშნება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში და საგამოცდო ნაშრომში.

6. კანცლერის ნებართვით გამოცდაზე დასწრების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის წევრს ან სხვა დაინტერესებულ პირს.

## 17. გამოცდაზე დაშვების პირობები

1. პროფესიული სტუდენტის გამოცდაზე დაშვების პირობაა მითითებულ საგამოცდო დროს უნივერსიტეტში გამოცხადება, საიდენტიფიკაციო ბარათის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა და მისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავება.

## 18. გამოცდაზე ქცევის წესები

1. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას არ არის ნებადართული:

ა) საგამოცდო ნაშრომში სახელის, გვარის ან რაიმე სახის მინიშნება პროფესიული სტუდენტის პიროვნების ამოსაცნობად;

ბ) საგამოცდო საკითხების გაცნობა საგამოცდო დროის დაწყებამდე;

გ) საუბარი ან სხვა სახის მინიშნება;

დ) ნებისმიერი დამხმარე საშუალების გამოყენება;

ე) საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო აუდიტორიის დატოვება;

ვ) ჩართული მობილური.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებისას პროფესიული სტუდენტი იხსნება გამოცდიდან და ფორმდება ოქმი. ნაშრომი არ ფასდება. პროფესიული სტუდენტი კარგავს ამ გამოცდის აღდგენის უფლებას.

3. შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და დამკვირვებლის მისვლის შემდგომ დასვას შეკითხვა.

4. გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართულია წყლისა და მედიკამენტების, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის უფროსის მიერ გამოცდის საჭიროებიდან გამომდინარე დაშვებული სხვა ნივთებისა თუ სასწავლო მასალის გამოყენება.

## 19. გამოცდის აღდგენა

1. გამოცდის აღდგენა ტარდება მხოლოდ ერთხელ გამოცდის აღდგენის კვირაში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია მომდევნო საგამოცდო პერიოდის ფარგლებში. დასკვნითი გამოცდის აღდგენის ვადა არ შეიძლება სცდებოდეს სასწავლო სემესტრის დასრულების ვადას. აღდგენის ცხრილი პროფესიულ სტუდენტს ეცნობება „ჩემი UG“-ის საგამოცდო ცხრილის მეშვეობით გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე.

2. ავადმყოფობის გამო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა „ჩემი UG“-ის მეშვეობით შესაბამისი გამოცდის დამთავრებამდე უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს. მან უნდა მიუთითოს ავადმყოფობის პერიოდში მისი ადგილსამყოფელის მისამართი და ტელეფონის ნომერი. ავადმყოფობა საპატიო მიზეზად ჩაითვლება, თუ ის დადასტურებულია უნივერსიტეტის ექიმის მიერ. დაგვიანებით დაწერილი განცხადება არ განიხილება.

3. გამოცდის სხვა მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენის უფლების მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა „ჩემი UG“-ის მეშვეობით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო სამუშაო დღისა და გამოცდის აღდგენამდე წარმოადგინოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი. გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზებია: ავადმყოფობა, მშობიარობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, მაგისტრანტების სამსახურებრივი მივლინება ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა. გამოცდის გაცდენის მიზეზის საპატიოდ ჩათვლის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი გამოცდას აღადგენს გადასახადის გადახდის გარეშე.

4. პროფესიული სტუდენტი, რომელიც გამოირჩევა მნიშვნელოვანი წარმატებებით საზოგადოებრივი საქმიანობის, სპორტის ან ხელოვნების სფეროში, კერძოდ, თუ პროფესიული სტუდენტი არის საქართველოს ან საერთაშორისო ტურნირების, საერთაშორისო კონკურსების, ფესტივალების გამარჯვებული, პრიზიორი, ლაურიატი და სხვა შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში სარგებლობს იმ გამოცდის უფასოდ აღდგენის უფლებით, რომლის გაცდენის მიზეზი შესაბამის ღონისძიებაში მონაწილეობაა. ასეთ შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდამდე ერთი სამუშაო დღით ადრე და განცხადებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

5. არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ისასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს მიმართავს არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების მომდევნო ორი სამუშაო დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს გამოცდის აღდგენის საფასურის გადახდის ქვითარი. გამოცდის აღდგენის საფასური დგინდება დირექტორის აქტით. (ცვლილება №3 დამტკიცებული 2014 წლის 2 იანვრის აკადემიური საბჭოს №2-14)

## 20. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება

გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდის ჩაბარების დღეს „ჩემი UG“-ის მეშვეობით მიმართოს კანცლერს. კანცლერი განიხილავს პროფესიული სტუდენტის საჩივარს. პროფესიული სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოცდების აღდგენის კვირაში დაინიშნება ხელახალი გამოცდა და წინა გამოცდის შედეგები ანულირდება. კანცლერის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 21. გამოცდის შეფასების გასაჩივრება

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს საგამოცდო ნაშრომს და არაუგვიანეს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან მესამე დღისა „ჩემი UG“-ის მეშვეობით განცხადებით მიმართოს მისი სკოლის დირექტორს. პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს თუ რომელ საკითხს ან შეფასების რა ნაწილის აპროტესტებს. ზოგადი პროტესტი არ განიხილება. განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს განცხადების განხილვასა და შედეგების სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურისათვის მიწოდებას.

## 22. შეფასების სისტემა

1. უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი (100%-იანი) შეფასების სისტემა.



2. კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში.

3. პროფესიული პროგრამის სასწავლო კომპონენტი ფასდება შუალედური (რომელიც მოიცავს ყოველკვირეული შეფასებას (ქვიზს), ლექციებზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას და შუალედურ გამოცდას) და ფინალური შეფასებებით. შეფასება შეიძლება ეყრდნობოდეს:

- ა) ყოველკვირეული შეფასებას (ქვიზს)
- ბ) ლექციებზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- დ) შუალედურ გამოცდას
- ე) დასკვნით გამოცდას

4. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ პროფესიულმა სტუდენტმა ვერ მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა, მაგრამ გამოცდამდე დაგროვილი ჰქონდა 41 ქულა და ზევით. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღეში. (ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13)

5. დამატებით გამოცდაზე დაშვება ასევე პროფესიული სტუდენტი, რომელმაც დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისთვის დადგენილი მინიმალური ქულა მიიღო, მაგრამ ვერ დააგროვა 51 ქულა, მაგრამ დააგროვა მინიმუმ 41 ქულა. (ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13)

6. დამატებითი გამოცდა დაუშვებელია ჩატარდეს ძირითადი გამოცდის ჩატარებიდან 10 დღეზე ადრე. გამოცდაზე გასვლის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების დღე ითვლება პირველ დღედ.

7. კომპონენტში პროფესიული სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა მრგვალდება მთელ რიცხვამდე. ხუთი მეათედი ან ხუთი მეასედი მრგვალდება მეტობით.

8. ცოდნის შემოწმების შედეგები მონაცემთა ბაზაში აისახება შემდეგ ვადებში:

- ა) ყოველკვირეული შეფასების შედეგები ხუთ სამუშაო დღეში,
- ბ) შუალედური გამოცდის შედეგები ათ სამუშაო დღეში,
- გ) დასკვნითი გამოცდის შედეგები შვიდ სამუშაო დღეში.

9. პროფესიული სტუდენტის პრეტენზია შეფასების არარსებობაზე მიიღება შედეგების ასახვის ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში.

ქულა	შეფასება	
დადებითი შეფასება		
91-100	A	ფრიადი
81-90	B	ძალიან კარგი
71-80	C	კარგი
61-70	D	დამაკმაყოფილებელი
51-60	E	საკმარისი
უარყოფითი შეფასება		
41-50	FX	ვერ ჩააბარა
<40	F	ჩაიჭრა

(ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13)

### 23. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულმა სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი.

პროფესიულ სტუდენტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

## **24. შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**

(ცვლილება №2 დამტკიცებული 2013 წლის 26 ივნისის აკადემიური საბჭოს №30-13)

პროფესიული პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეთვლება როგორც მოდიფიცირებამდე, ისე მოდიფიცირების შემდგომ არჩეული კომპონენტი. პროფესიული პროგრამის გაერთიანების შემთხვევაში, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები აგრძელებენ სწავლას მიღევად რეჟიმში.